შპს მუკ-თბილისი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების და შეფასების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები 11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. ამონაგები 15
6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 15
7. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები 15
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 15
9. ფინანსური ხარჯი, წმინდა 16
10. ძირითადი საშუალებები 16
11. მარაგები 16
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17
13. გაცემული სესხები 17
14. ფული და ფულის ეკვივალენტები 18
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 18
16. მიღებული სესხები 18
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 19
18. დაკავშირებული მხარეები 19
19. პირობითი ვალდებულებები 19
20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 20

მმართველობის ანგარიშგება 27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მუკ-თბილისის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მუკ-თბილისის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - "პირობითი მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია გეგმავს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებზე საბაზრო პირობებთან შესაბამისობის (Transfer-pricing) დოკუმენტაციის მომზადებას. შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ამ ოპერაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების შეტანა აღურიცხავ საგადასახადო ვალდებულებებთან (აქტივებთან) და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 31 ოქტომბერი

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მუკ-თბილისის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მუკ-თბილისის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი საარღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - "პირობითი მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია გეგმავს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებზე საბაზრო პირობებთან შესაბამისობის (Transfer-pricing) დოკუმენტაციის მომზადებას. შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ამ ოპერაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების შეტანა აღურიცხავ საგადასახადო ვალდებულებებთან (აქტივებთან) და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან

დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 31 ოქტომბერი

შპს მუკ-თბილისი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებ წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	62,809,776	43,972,610
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(54,160,511)	(36,209,082)
საერთო მოგება		**8,649,265**	**7,763,528**
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	7	(4,409,519)	(3,417,448)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(861,643)	(814,814)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		36,739	101,186
ფინანსური აქტივების გაუფასურება	12	(1,137,539)	(430,826)
საოპერაციო მოგება		**2,277,303**	**3,201,626**
ფინანსური შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	9	314,042	(91,297)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა		(281,800)	452,402
მოგება დაბეგვრამდე		**2,309,545**	**3,562,731**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(450,900)
წლის სრული შემოსავალი		**2,309,545**	**3,111,831**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 31 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გ. ცვარიანი

მთავარი ბუღალტერი _____ გ. ჩაგუნავა

10 - 26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მუკ-თბილისი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	62,809,776	43,972,610
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(54,160,511)	(36,209,082)
საერთო მოგება		**8,649,265**	**7,763,528**
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	7	(4,409,519)	(3,417,448)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(861,643)	(814,814)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		36,739	101,186
ფინანსური აქტივების გაუფასურება	12	(1,137,539)	(430,826)
საოპერაციო მოგება		**2,277,303**	**3,201,626**
ფინანსური შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	9	314,042	(91,297)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი/(მოგება), წმინდა		(281,800)	452,402
მოგება დაბეგვრამდე		**2,309,545**	**3,562,731**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(450,900)
მთლიანი სრული შემოსავალი		**2,309,545**	**3,111,831**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2022 წლის 31 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გ.ცვარიანი

მთავარი ბუღალტერი _____ გ.ჩაგუნავა

10 - 26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	959,564	248,614
აქტივის გამოყენების უფლება		169,147	-
არამატერიალური აქტივები		21,551	21,551
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	-	251,374
		1,150,262	**521,539**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	6,947,716	3,667,268
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	12,059,894	10,607,440
გაცემული სესხები	13	-	-
საგადასახადო აქტივი		494,053	601,417
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	573,653	860,568
		20,075,316	**15,736,693**
სულ აქტივები		**21,225,578**	**16,258,232**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		333,380	333,380
გაუნაწილებელი მოგება		6,780,955	4,471,410
სულ კაპიტალი		**7,114,335**	**4,804,790**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		90,565	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	10,974,288	10,159,877
მიღებული სესხები	16	2,967,808	1,293,565
საიჯარო ვალდებულება		78,582	-
		14,020,678	**11,453,442**
სულ ვალდებულებები		**14,111,243**	**11,453,442**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**21,225,578**	**16,258,232**

10 - 26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	**333,380**	**3,914,854**	**4,248,234**
მფლობელებზე განაწილებული			
დივიდენდი	-	(2,555,275)	**(2,555,275)**
მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,111,831	**3,111,831**
2020 წლის 31 დეკემბერი	**333,380**	**4,471,410**	**4,804,790**
მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,309,545	**2,309,545**
2021 წლის 31 დეკემბერი	**333,380**	**6,780,955**	**7,114,335**

10 - 26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე:		**2,309,545**	**3,562,731**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		56,597	34,791
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან		2,979	-
ფინანსური აქტივების გაუფასურება		1,137,539	430,826
მარაგების გაუფასურება		47,428	163,046
საპროცენტო ხარჯი		62,847	30,140
საპროცენტო შემოსავალი		(29,001)	(52,359)
ფინანსური აქტივის დისკონტირების ეფექტის გაუქმება		119,827	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/ მოგება		53,739	(338,886)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე		**3,761,500**	**3,830,289**
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		(3,530,505)	1,864,039
მარაგების შემცირება/(ზრდა)		(3,327,876)	1,822,628
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		1,707,504	(3,272,530)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		107,364	(382,293)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		**(1,282,013)**	**3,862,133**
გადახდილი პროცენტი		(62,847)	(30,140)
გადახდილი დივიდენდი		-	(2,555,275)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(450,900)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		**(1,344,860)**	**825,818**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(770,526)	(74,701)
საპროცენტო შემოსავალი		29,001	52,359
გაცემული სესხები		(130,937)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(12,368)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები		**(872,462)**	**(34,710)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება		28,364,060	3,354,226
სესხების დაფარვა		(26,461,756)	(3,847,578)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული/(გასული) წმინდა ფულადი ნაკადები		**1,902,304**	**(493,352)**
ფულადი სახსრების ზრდა, წმინდა		**(315,018)**	**297,756**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**14**	**860,568**	**1,030,966**
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		28,103	(468,154)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**14**	**573,653**	**860,568**

10 - 26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მუკ-თბილისი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 17 ნოემბერს. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს კომპიუტერული, პერიფერიული და ქსელური აღჭურვილობის დისტრიბუცია. კომპანია იღებს აქტიურ მონაწილეობას ისეთი პროექტების განვითარებასა და დანერგვაში, სადაც ზემოთხსენებული ტექნიკის გამოყენება ხდება, ამავდროულად ახდენს დამატებით კომპლექსური სერვისების მიწოდებას მის დილერებზე.

შპს მუკ-თბილისი არის ავტორიზირებული დისტრიბუტორი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მსოფლიოს წამყვანი ბრენდების, ისეთი როგორიც არის: Autodesk, Dell, IBM და სხვა.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდნენ შემდეგი ფიზიკური პირები:

- იგორ პერევერზევი (61.20%)
- სტანისლავ გურევიჩი (20.40%)
- დმიტრო სედნიევ (14.40%)
- ოლექსანდრ ასტანინ (4.0%)

კომპანიის იურიდიული მისამართია ნოდარ ბოხუას ქუჩა №4, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მაკონტროლებელი პირია იგორ პერევერზევი (უკრაინა). კომპანიის დირექტორია გერონტი ცვარიანი.

2. მომზადების და შეფასების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი საღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. ფინანსური ანგარიშგებაში ციფრობრივი მონაცემები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა მოცემულია მე-20 განმარტებით შენიშვნაში. საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არცერთ ახალ გამოსულ სტანდარტს, ინტერპრეტაციას და ცვლილებას არსებულ სტანდარტებში, რომელიც გამოვიდა 2021 წლის იანვრის შემდეგ არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- საღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- საღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე.

კომპანია არ ელოდება, რომ IASB-ის მიერ გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ეფექტური, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული საღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად. საღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. საღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

იჯარის ვადები, ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა და საიჯარო გადახდები. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. საქართველოსთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ იჯარის განახლების შესაძლებლობა განიხილება ბიზნეს პროცესების შესწავლიდან გამომდინარე და არა კონტრაქტში განსაზღვრული პირობის მიხედვით. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი აღიარება გულისხმობს სამომავლო გადახდების დაანგარიშებას მიმდინარე სახელშეკრულებო პირობების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

შესაბამისად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების'' (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის ფლობს შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, ფული და ფულის ეკვივალენტები, მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებები.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 13-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. საუკეთესო მტკიცება რეალური ღირებულებისა არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. აქტიურ ბაზარზე მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეფასდება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს განკარგულებაში არსებული ერთეულების რაოდენობაზე.

კომპანიას გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები - „რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით“. აქედან გამომდინარე ისინი არიან წარმოდგენილნი ფასს 13-ის რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, საიჯარო ვალდებულებები და მიღებული სესხები შეფასებულია მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: დამფინანსებელი დაკავშირებული მხარეა თუ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირი, წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომლებიც ვადაგადაცილებულია ან გაუფასურებულია წარმოდენილია მე-12 შენიშვნაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყეობს იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,752,049	-	9,232,546	**11,984,595**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	521,585	20,099	31,969	**573,653**
	3,273,634	**20,099**	**9,264,515**	**12,558,248**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	193,500	-	2,774,308	**2,967,808**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	790,054	442,965	7,385,330	**8,618,349**
საიჯარო ვალდებულებები	-	-	169,147	**169,147**
	983,554	**442,965**	**10,328,785**	**11,755,304**
სავალუტო პოზიცია	**2,290,080**	**(422,866)**	**(1,064,270)**	

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	171,472	38,368	650,728	**860,568**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,673,688	-	7,939,223	**9,612,911**
	1,845,160	**38,368**	**8,589,951**	**10,473,479**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,719	-	6,965,814	**6,997,533**
მიღებული სესხები	238,500	-	1,055,065	**1,293,565**
	270,219	**-**	**8,020,879**	**8,291,098**
სავალუტო პოზიცია	**1,574,941**	**38,368**	**569,072**	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

	2021		2020	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	**+20%**	**-20%**	**+20%**	**-20%**
აშშ დოლარი ეფექტი მოგება (ზარალი)	(212,854)	212,854	113,814	113,814
ევროს ეფექტი (ზარალი)	(84,573)	84,573	7,674	(7,674)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ცვალებად-პროცენტიან ფინანსურ ისნტრუმენტებთან დაკავშირებულ რისკს, რომელიც წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გამო. კომპანიას მიღებული აქვს სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის რისკი შემცირებულია მისაღებ დონემდე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.გარდა საიჯარო ვალდებულებებისა რომელიც წარდგენილია გრძელვადიან ვალდებულებებში მოიცავს პერიოდს 1-დან 5-წლამდე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

5. ამონაგები

კომპანია ამონაგებს აგენერირებს კომპიუტერული მოწყობილობების და ლიცენზიების გაყიდვიდან. ამონაგების აღიარება სრულად ხორციელდება დროის გარკვეულ მომენტში:

	2021	2020
კომპანია როგორც მარწმუნებელი		
ადგილობრივი გაყიდვები	58,842,295	34,482,151
ექსპორტით გაყიდვები	2,044,862	5,192,937
კომპანია როგორც რწმუნებული	1,922,619	4,297,522
	62,809,776	**43,972,610**

6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
ადგილობრივი გაყიდვები	(52,251,110)	(31,496,422)
ექსპორტით გაყიდვები	(1,909,401)	(4,712,660)
	(54,160,511)	**(36,209,082)**

7. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები

	2021	2020
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,266,852)	(3,153,660)
სხვა	(142,667)	(263,788)
	(4,409,519)	**(3,417,448)**

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(501,061)	(480,000)
პროფესიული მომსახურება	(72,117)	(61,533)
ცვეთა და ამორტიზაცია	(56,597)	(34,791)
მოკლევადიანი საიჯარო გადასახდელები	(51,663)	(73,305)
მივლინება	(38,502)	(19,072)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	(23,880)	(23,055)
ბანკის საკომისიო	(23,504)	(53,377)
სხვა	(94,319)	(69,681)
	(861,643)	**(814,814)**

9. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2021	2020
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(62,847)	(30,140)
მიღებული სესხების კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	-	(113,516)
	(62,847)	**(143,656)**
ფინანსური შემოსავალი		
მიღებული სესხების კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	228,061	-
ფინანსური აქტივის დისკონტირების ეფექტის გაუქმება	119,827	-
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	29,001	52,359
	376,889	**52,359**
სულ ფინანსური შემოსავალი (ხარჯი) , წმინდა	**314,042**	**(91,297)**

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობები	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2019	**156,892**	**111,676**	**16,553**	**285,121**
შემოსვლა	-	69,764	5,917	**75,681**
31 დეკემბერი 2020	**156,892**	**181,440**	**22,470**	**360,802**
შემოსვლა	705,603	54,182	10,741	**770,526**
გასვლა	-	-	(4,067)	**(4,067)**
31 დეკემბერი 2021	**862,495**	**235,622**	**29,144**	**1,127,261**
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2019	**(33,772)**	**(37,994)**	**(5,632)**	**(77,398)**
ცვეთა	-	(31,061)	(3,729)	**(34,790)**
31 დეკემბერი 2020	**(33,772)**	**(69,055)**	**(9,361)**	**(112,188)**
ცვეთა	(10,987)	(40,572)	(5,038)	**(56,597)**
გასვლა	-	-	1,088	**1,088**
31 დეკემბერი 2021	**(44,759)**	**(109,627)**	**(13,311)**	**(167,697)**
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	**123,120**	**112,385**	**13,109**	**248,614**
31 დეკემბერი 2021	**817,736**	**125,995**	**15,833**	**959,564**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობები ჩადებულია სს თი ბი სი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

11. მარაგები

	2021	2020
გასაყიდი საქონელი	7,329,646	4,001,770
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(381,930)	(334,502)
	6,947,716	**3,667,268**

მარაგების თვითღირებულება რომლებიც გაუფასურებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,358,619 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა მარაგი ჩადებულია სს თი ბი სი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები*	15,362,805	11,979,386
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(3,378,210)	(2,366,475)
	11,984,595	**9,612,911**
არაფინანსური მოთხოვნები		
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	75,299	1,245,903
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**12,059,894**	**10,858,814**

*სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს გრძელვადიან მოთხოვნებს 251,374 ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც დაიფარება 2022 წელს. გრძელვადიანი მოთხოვნა წარმოადგენს მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს - გადახდის გადავადება მოხდა ერთ წელზე მეტი ვადით.

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია მე-20 განმარტებით შენიშვნაში.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	**(2,366,475)**	**(1,935,649)**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდა	(1,011,735)	(430,826)
31 დეკემბერი	**(3,378,210)**	**(2,366,475)**

ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოიცავს გაცემული სესხების გაუფასურებასაც 125,804 ლარის ოდენობით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დაყოფა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში. კომპანია არ ფლობს რაიმე სახის უზრუნველყოფას.

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ანალიზს საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური აქტივების საკრედიტო ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვადაგადაცილება დღეებში				
	მიმდინარე	**>60**	**>90**	**>180**	**>360**
31 დეკემბერი 2021					
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	**1%**	**5%**	**15%**	**50%**	**100%**
საბალანსო ღირებულება	10,841,983	376,615	741,725	525,565	2,876,917
გაუფასურების რეზერვი	108,420	18,831	111,259	262,783	2,876,917
31 დეკემბერი 2020					
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	**1.15%**	**8.73%**	**76.3%**	**92%**	**100%**
საბალანსო ღირებულება	5,550,687	2,311,714	22,365	14,160	2,070,738
გაუფასურების რეზერვი	63,833	201,813	17,064	13,027	2,070,738

13. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	2021	2020
გაცემული სესხები	7%	დოლარი	125,804	-
გაუფასურების რეზერვი			(125,804)	-
			-	-

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021	2020
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	52,068	689,096
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	521,585	171,472
	573,653	**860,568**

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	7,840,860	6,664,954
გადასახდელი ხელფასები	777,489	332,579
	8,618,349	**6,997,533**
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულება	2,355,939	3,162,344
	10,974,288	**10,159,877**

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

16. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	2021	2020
სს თი ბი სი ბანკი	7% + 6 თვიანი ლიბორი	აშშ დოლარი	2,241,521	-
სტანისლავ გურევიჩი		აშშ დოლარი	365,517	714,299
დმიტრი სედნევი		ლარი	193,500	238,500
დმიტრი სედნევი		აშშ დოლარი	167,270	340,766
			2,967,808	**1,293,565**

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	**(1,293,565)**	**(1,673,401**
მონეტარული ცვლილებები		
აღებული სესხი	(28,364,060)	(3,354,226)
ძირის გადახდა	26,461,756	3,847,578
პროცენტის გადახდა	62,847	30,140
არამონეტარული ცვლილებები		
საპროცენტო ხარჯი წარდგენილი სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(62,847)	(30,140)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	228,061	(113,516)
31 დეკემბერი	**(2,967,808)**	**(1,293,565)**

კომპანიას აქვს თიბისი ბანკისგან მიმდინარე სესხი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. წლიური საპროცენტო განაკვეთი იცვლება 6 თვეში ერთხელ, იმის მიხედვით შემცირდება თუ გაიზრდება LIBOR-ის განაკვეთი. სესხის მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია არ ელის მომავალში მნიშვნელოვან ზარალს ან მოგებას სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად.

სს თიბისი ბანკთან სასესხო ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, კომპანიამ სესხის დაფარვის თარიღამდე უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი ფინანსური კოვენანტები:

- შეინარჩუნოს EBITDA კოეფიციენტი არაუმეტეს 300%;
- შეინარჩუნოს DSCR კოეფიციენტი არანაკლებ 1.3;
- შეინარჩუნოს ICR კოეფიციენტი არანაკლებ 3.0;

კოვენანტების პირობები დაკმაყოფილებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია უზრუნველყოფებზე წარმოდგენილია მე-10, მე-11, მე-12 განმარტებით შენიშვნებში.

სესხების დაყოფა ვალუტის მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არა-მაკორექტირებელი მოვლენები

- 2022 წლის თებერვალში დამფუძნებლებმა გამოაცხადეს დივიდენდები ჯამში 3,000,000 ლარის ოდენობით.
- 2022 წლის თებერვალში კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან მიიღო სესხი 2,000,000 დოლარის ოდენობით.

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	საერთო კონტროლს ქვეშ	დამფუძნებლები	საერთო კონტროლს ქვეშ	დამფუძნებლები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,691,161	-	1,620,713	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,821,369)	-	(3,425,767)	-
მიღებული სესხები	-	(726,287)	-	(1,293,565)
მარაგის შესყიდვა	52,941,855	-	31,261,055	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
ამონაგები	703,561	-	1,340,904	-

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, უმაღლესი ხელმძღვანელი პირების მოკლევადიანი ანაზღაურება, შეადგენდა 133,433 და 145,678 ლარს, წლების შესაბამისად.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არსებითი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება - 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

19. პირობითი ვალდებულები (გაგრძელება)

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 670,712 ლარი.

არარეზიდენტი კომპანიის შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან - პროგრამული უზრუნველყოფის (მათ შორის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება) მომწოდებლებთან გადახდილი თანხები, რომელთანაც საქართველოს მთავრობას არ აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება გაფორმებული, შესაძლოა დაექვემდებაროს გადახდის წყაროსთან დაბეგვრას 5%-ის ოდენობით. შპს მუკ თბილისის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მან უკვე განახორციელა ყველა გადასახადის გადახდა, და შესაბამისად, ანარიცხი არ შეუქმნია ფინანსურ ანგარიშგებაში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. ანგარიშსწორებისა და წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშების დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლო კურსით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	2021	2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.2766	4.0233

ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანია როგორც მარწმუნებელი (მოწყობილობები)

კომპანია შემოსავლის გენერირებას ახდენს კომპიუტერული მოწყობილობების რეალიზაციით საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში. დროის იმ მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე, კომპანია განიხილავს შემდეგ ინდიკატორებს:

- გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე უფლება აქტივისათვის გადახდილი ანაზღაურების მიღებაზე;
- გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრების იურიდიული უფლება;
- ფიზიკურად გადასცა თუ არა კომპანია აქტივი;

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- მიიღო თუ არა მომხმარებელმა აქტივი;

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

სარეალიზაციო პროდუქტზე დადგენილი ფასების შესახებ ინფორმაცია აისახება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ფასები შესაძლოა განსხვავებული იყოს მომხმარებლების მიხედვით. ფასების ცვლილების შემთხვევაში ინფორმაციის ასახვა ხდება საინვოისო დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტს.

გაყიდვის შედეგად კომპანიის მიერ მისაღები ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს გაცემული ფასდაკლების შედეგად. ცვალებადი ანაზღაურების შეფასება კომპანიის მიერ ხორციელდება შემდეგი მეთოდის საშუალებით:

- **ყველაზე მეტად მოსალოდნელი ოდენობა** - გულისხმობს, ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ერთადერთი, ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელ სიდიდეს.

ექსპორტით განხორციელებული გაყიდვის დროს კომპანია შემოსავლის აღიარებას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი „ინკოტერმსის“ პირობების მიხედვით - აკონტროლებს მყიდველზე საკუთრების, რისკისა და სარგებლის გადაცემის მომენტს.

კომპანია როგორც რწმუნებული (ლიცენზიები)

კომპანია განსაზღვრავს თუ რას წარმოადგენს მისი დაპირება: არის თუ არა ეს შესასრულებელი ვალდებულება, რომლის თანხმადაც მან თვითონ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდება, თუ მას სხვა მხარისთვის ევალება ამ საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზება.

იმისათვის, რომ დაადგინოს კომპანია არის მარწმუნებელი თუ რწმუნებული, მენეჯმენტი განიხილავს ქვემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორებს:

- არის თუ არა კომპანია ძირითადად პასუხისმგებელი შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების მიწოდების დაპირების შესრულებაზე;
- კომპანია ექვემდებარება თუ არა მარაგის რისკს მომხმარებლისთვის შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, ან მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შემდეგ;
- გააჩნია თუ არა კომპანიას შეთანხმებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ფასის დამოუკიდებლად დადგენის უფლება;

კომპანიას მიაჩნია რომ არის რწმუნებული ლიცენზიების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებში, ვინაიდან არ აკონტროლებს მოცემულ აქტივებს და ამავდროულად არ გააჩნია აღნიშნული აქტივის ფლობასთან დაკავშირებით რაიმე რისკი. შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს ლიცენზიების და მასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდების ორგანიზება სხვა მხარისათვის.

როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას ის ამონაგებს აღიარებს გასამრჯელოს ან საკომისიოს ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც საწარმო მოელის იმის სანაცვლოდ, რომ ორგანიზებას უკეთებს სხვა მხარისგან მისაღები შეთანხმებული საქონლის ან მომსხახურების გადაცემას. საწარმოს გასამრჯელო ან საკომისიო შეიძლება იყოს ანაზღაურების ნეტო თანხა, რომელსაც საწარმო იტოვებს მას შემდეგ, რაც სხვა მხარეს გადაუხდის მისი საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურებას.

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით , გაცემული სესხებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ თანხებს;
- სხვა ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები;
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან კომპანიის გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს.

დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები

კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს, რომელიც კომპანიას შესაძლოა გააჩნდეს მის დაკავშირებულ მხარეებთან ბიზნეს საქმიანობის პროცესში. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება გამოცდილების და მომავალი მოლოდინების საფუძველზე. კომპანია არ არეზერვებს

დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებულ სავაჭრო მოთხოვნებს, ვინაიდან არ გააჩნია წარსული გამოცდილება აღნიშნულთან დაკავშირებით.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები

კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს არსებითი ღირებულების მქონე დებიტორებს. აღნიშნულ კატეგორიაში განხილულ მოთხოვნების შეფასებისას კომპანია მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს: ა) დებიტორის ფინანსურ მდგომარეობას, ბ) მისაღები თანხების ვადაგადაცილების სტატუსს, გ) კონტრაგენტთან არსებულ დავალიანებას, დ) ნებისმიერ ხელმისაწვდომ არაფინანსურ ინფორმაციას და ა.შ.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია ოპერირებს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (1) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (2) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს და საოჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახდისთვის.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
შენობები	45-50
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	5-10
სხვა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება. აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, აქტივის ამორტიზაციის ხარჯი კორექტირებულია მომავალ პერიოდებში, რათა სისტემატიურად გადანაწილდეს აქტივის შესწორებული საბალანსო ღირებულება მისი დარჩენილი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.გაუფასურების ზარალის ამობრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე.

დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიცარ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, აქციონერთა საერთო კრებაზე.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არის ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის ,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათაო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი

გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის

უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

შპს მუკ-თბილისი

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის მიმოხილვა

შპს მუკ-თბილისი დაარსდა 2011 წლის 17 ნოემბერს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან იგორ პერევერზევი (61,20%), სტანისლავ გურევიჩი (20,40%), დმიტრი სედნიევი (14,40%) და ოლექსანდერ ასტანინი (4%).

შპს მუკ-თბილისი არის ავტორიზირებული დიტრიბუტორი საქართველოში, ინფომრაციული ტექნოლოგიების 30-ზე მეტი მსოფლიო ბრენდის (HP, DELL-EMC, IBM, Oracle, Lenovo და აშშ). სადისტრიბუციო ხელშეკრულებები ვრცელდება არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე და შუა აზიის ქვეყნებზეც. კომპანიის მისია არის, რომ უზრუნველყოს ინფორმციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და გაუწიოს დახმარება პარტნიორ კომპანიებს სხვადასხვა გარებომემბში მოთხოვნის შესაბამისი გადაწყვეტილების მოძიებაში. სადისტრიბუციო ხელშეკრულებები ავალდებულებს შპს მუკ-თბილისის , რომ აამაღლოს კონკრეტული ბრენდების და მათი ახალი პროდუცქიის ცნობადობა ბაზარზე. საცალო გაყიდვების მაღაზიებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის კომპანია ზრუნავს, რომ ადგილობრივად იქონიოს ფართო ასორტიმენტის სასაწყობე ნაშთი. საერთაშორისო გაყიდვებში შპს მუკ-თბილისი ორგანიზებას უწევს მოთხოვნის შესაბამის პროდუქციაზე ოპერატიულად შეკვეთის განთავსებას და ლოჯისტიკის ოპტიმიზაციას.

2021 წლის მთლიანი რეალიზაციიდან, კომპანიის საქართველოს ბაზარზე გაყიდვების წილი დაახლოებით არის 93% და საერთაშორისო გაყიდვების წილი შესაბამისად 7%.

მომწოდებლების უდიდესი ნაწილი რეგისტრირებულია ევროპაში.

სტრატეგია, განვითარების გეგმა

მომდევნო წელში მენეჯმენტის მიზანს წამროადგენს ამონაგების სულ მცირე 15%-იანი ზრდა. მიზნობრივი რეალიზაციის მოცულობა უნდა იქნას მიღწეული ახალი სადისტრიბუციო ხელშეკრულებების გაოფრმებით, მარკეტინგული აქტივობებით, ახალი სამუშაო ძალის დამატებით და არსებულის კვალიფიკაციის ამაღლებით, შიდა ბიუროკრატიული სისტემის გამარტივებით და პარტნიორებისთვის უფრო ელასტიური სამუშაო პირობების შეთავაზებით.

2021 წელში განხორციელებული გაყიდვების დეპარტამენტის სტრუქტურულმა ცვლილებამ კვლავ გამოავლინა დადებითი ეფექტი 2022 წლის პერფორმანსზე. კომპანიამ მოახერხა უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დაამყარება ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე არსებულ მსხვილ პარტნიორებთან , რამაც ხელი შეუწყო ახალი პროექტების მოზიდვას და გაყიდვების გაზრდას.

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებამ გამოიწვია საწყის ეტაპზე მოკლევადიანი გაუკრვევლობა მომწოდებლებთან გადახდისუნარიანობის დადასტურებაში. ფინანსური ჯგუფის აქტიური ჩართულობით და მომწოდებლებთან ურთიერთობაში ჩართული თანამშრომლების ძალისხმევით მოხერხდა ყველა არსებული ხელშეკრულების და საკრედიტო ხაზის პირობების შენარჩუნება.

მიღწევები

წინა 2 წლის კორონა ვირუსის პანდემიის გავლენით, 2022 წელს გაიზარდა მოთხოვნა კომპიუტერულ ტექნიკაზე დისტანციურად მუშაობის ხელშეწყობისთვის. თანამშრომელთა გუნდური მუშაობის წყალობით, კომპანიამ შეძლო გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება და წინა წელთან შედარებით თავისი გაყიდვების მოცულობისა და საერთო მოგების გაზრდა. ამის ფონზე დადგა აუცილებლობა რომ მომხდარიყო ახალი თანამშრომლების მოძიება.

2022 წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე შენარჩუნდა 2021 წლის კრიზისი, მწარმოებლებმა ვერ შეძლეს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება და გაჩნდა პროდუქციის დანაკლისი, რამაც გამოიწვია შეკვეთების დაგვიანება. მიუხედავათ ამისა, კომპანიის პროდაქტ მენეჯერების სწორმა სტრატეგიამ და შესყიდვების დაგეგმარებამ, შექმნა შესაძლებლობა პარტნიორი კომპანიების მხრიდან ნებისმიერი მოცულობის მოთხოვნის დროული დაკმაყოფილების. შესაბამისად გაიზარდა გაყიდვების მოცულობა ადგილობრივ ბაზარზე 70%-ით.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი

მთავარი ფინანსური ინდიკატორები:

ლარი	2021	2020	ცვლილება, %
ამონაგები	62 809 776	43 972 610	+42.84
წმინდა მოგება	2 309 545	3 111 831	-25.78

გაყიდვების მნიშვნელოვანი ზრდა გამოვლინდა 2021 წლის მე-4 კვარტალში, რამაც გამოიწვია წლის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების ზრდა 28%-ით 2020 წელთან შედარებით. ამის შედეგად საერთაშორისო ფინანსური სტანდარტებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების მაჩვანებელიც გაიზარდა 1 011 735 ლარით, რამაც მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა წმინდა მოგებაზე.

გაყიდვებისა და მიწოდების ხარჯები

	2021	2020
თანამშრომლებზე გაცემული საკომისიოები	(4 266 852)	(3 153 660)
სხვა	(142 667)	(263 788)
	(4,409,519)	**(3,417,448)**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021	2020
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(501 061)	(480 000)
იჯარა*	(51 663)	(73 305)
პროფესიული მომსახურება	(72 117)	(61 533)
ბანკის საკომისიო	(23 504)	(53 377)
ცვეთა და ამორტიზაცია	(56 597)	(34 791)
მივლინება	(38 502)	(19 072)
კომუნალური გადასახადები	(23 880)	(23 055)
სხვა	(94 319)	(69 681)
	(861 643)	**(814 814)**

კომპანია გამუდმებით ახორციელებს საბრუნავი კაპიტალის კონტროლს ვინაიდან მისი სწორი მართვა კომპანიის წარმატების საწინდარია.ცხრილში მოცემულია შპს მუკ-თბილისის 2021 და 2020 წლის მონაცემების შედარება:

	2021	**2020**
კრედიტორის დაფარვის დღე	49	87
მარაგის ბრუნვის დღე	36	47
აქტივების რენტაბელობა	17%	19%

რისკების მართვა

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშვება როდესაც

მყიდველი ვერ ასრულებს ხელშკერულებით ნაკისრ ვადლებულებებს და დავალიანება ყალიბდება საეჭვო მოთხოვნად. ფინანსუწრი აქტივების არსებული მთლიანი ნაშთი არის მაქსიმალური შესაძლო საკრედიტო რისკი. შესაბამისად 2021 წლის 31 დკემბრისათვის საკრედიტო რისკი არის შემდეგი:

მთლიანი მოთხოვნების მნიშვნელოვნად დიდი წილი შედგება ცალკეული პროექტებისგან, რომელთაც გააჩნიათ ინდივიდუალური საკრედიტო პირობები. ხელშეკრულებების მიხედვით არსებული გადახდის ვადლებულება ვარირებს 1 თვიდან 1 წლამდე.

კომპანია 2021 წლის განმავლობაში არ იყნებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის არც-ერთ ფინანსურ ინტრუმენტს.

საეჭვო მოთხოვნების თავიდან არიდებისათვის, მენეჯმენტმა შეიმუშავა შემდეგი მეთოდოლოგია: ხდება თითოეული მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი, ამის შედმეგ საიმედოობის დონის განსაზღვა და შესაბამის საკრედიტო პირობებზე მოლაპარაკება.

სავაჭრო მოთხოვნებმა განიცადა მნიშვნელოვანი ზრდა წინა წელთან შედარებით. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-12 შენიშვნა.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობა განსაზღვრავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე ფინანსური აქტივებით.

რისკის თავიდან აცილების მიზნით, ყოველკვირეულად დგება მოკლევადიანი ფულადი მოძრაობის პროგნოზი და ხდება ფულადი ოპერაციების დაგეგმვა. ჩვეულებრივ კომპანია ცდილობს რომ ანგარიშზე ჰქონდეს საკმარისი თანხა რომ უახლოესი 2 კვირის მანძილზე არსებული ყველა ვალდებულების დაუბრკოლებლად დაფარვა იყოს შესაძლებელი.

მეორე ინსტრუმენტი რომელსაც კომპანია იყენებს, არის ბანკის მიერ დამტკიცებული ვადიანი საკრედიტო ხაზი, რომლის გამოყენებაც ხდება მოკლე პერიოდში არასაკმარისი ფულადი სახსრების არსებობისას. კომპანია სარგებლობს სს თიბისი ბანკში 3 100 000 დოლარიანი საკრედიტო ხაზით, რომლის ათვისებაც შესაძლებელია ასევე ეროვნულ ვალუტაში.

სავალუტო რისკი - საქმიანობიდან გამომიდინარე, კომპანიის ფინანსური მაჩვენებელების დიდი ნაწილი არის დამოკიდებული უცხოურ ვალუტაზე, და შესაბამისად კურსის მკვეთრი ცვალებადობა საკმაოდ მძიმედ აისახება ფინასნურ შედეგზე.

სავალუტო რისკების შეფასებისას აუცილებელია ორი მთავარი მიმართულების გამოყოფა:

- სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდბეულებები.
  მომწოდებლების წინაშე ვალდებულებები გენერირდება აშშ დოლარში ან ევროში. შესაბამისად, კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი ასევე არის უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი), და მიმაგრებულია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვურლ კურსზე. მიუხედავად ამ მიდგომისა, მაინც ჩნდება დიდი დანაკარგები საკურსო სხვაობიდან და კონვერტაციის ოპერაციებიდან.
- საკრედიტო პროდუქტები
  კომპანია სარგებლობს საკრედიტო ხაზით რომელიც ნომინირებული არის აშშ დოლარში.

მოკლევადიან პერიოდში საკრედიტო ხაზი იძლევა კონვერტაციიდან პოტენციური დანაკარგების თავიდან აცილების საშუალებას, იმ შემთხვევაში თუ სავალუტო ბაზარზე ეროვნული ვალუტის მკვეთრი მოკლევადიანი პერიოდით გაუფასურება ხდება.

	2021		2020	
კურსის ცვალებადობის მიმართ მგრძნობელობა	**+20%**	**-20%**	**+20%**	**-20%**
USD ეფექტი (ზარალი)/ამონაგები	(212,854)	212,854	113,814	113,814
EUR ეფექტი (ზარალი)/ამონაგები	(84,573)	84,573	7,674	(7,674)

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

ინფორმაცია კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

საკადრო პოლიტიკა

კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. დაცულია შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. 2021 წლის ბოლოს კომპანიაში მუშაობდა 38 თანამშრომელი , საიდანაც 30% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. 2021 წელში გაგრძელდა კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელშიც თანამშრომელთა დიდი ნაწილი არის ჩართული.

უსაფრთხოება

მენეჯმენტი ძალიან დიდ ყურადრებას აქცევს თანამშრომლების და ვიზიტორების უსაფრთხოებას ოფისში და საწყობში. ოფისი განთავსებულია კეთილ მოწყობილ ბიზნეს ცენტრში „მიონი“. დაცვის სამსახური თბილისი უზრუნველყოფს 24/7 უსაფრთხოებას.

პანდემიური მდგომარეობის დროს, სრულად იყო გათვალისწინებული ყველა სამედიცინო რეკომენდაცია და თანამშრომელები მომარაგებული იყვნენ აუცილებელი ჰიგიენური თავდაცვის საშუალებებით. დაცული იყო თანამშრომელთა შორის უსაფრთხო დისტანცია სამუშაო ადგილზე.

ორგანიზაციის სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა 2021 და 2020 წლებში წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:



ანტი-კორუფციული პოლიტიკა

კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოვლად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

შპს მუკ-თბილისის-ის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 31.10.2022 -ში და ადასტურებენ:

დირექტორი _____ გ.ცვარიანი

მთავარი ბუღალტერი _____ გ.ჩაგუნავა

ანტი-კორუფციული პოლიტიკა

კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოვლად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

შპს მუკ-თბილისის-ის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 31.10.2022 -ში და ადასტურებენ:

დირექტორი გ. ცვარიანი

მთავარი ბუღალტერი გ. ჩაგუნავა